



საქართველო ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო

№ 21

" 23 " 02 " 2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების

სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო პროცედურისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N10 ბრძანების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოფიციალური მოთხოვნის სახით გიგზავნით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ დ.სტეფანწმინდის ცენტრში მდებარე ალ.ყაზბეგის ძეგლის არქიტექტურულ-მხატვრული პროექტის შედგენის კონკურსის საკონკურსო განცხადებას, რათა უზრუნველყოთ მისთვის ნომერის მინიჭება და განთავსება თქვენ ოფიციალურ ვებგვერდზე.

დანართი: საკონკურსო განცხადება.

პატივისცემით

საკრებულოს თავმჯდომარე

გ.მალანია

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი



კონკურსის მეშვეობით არქიტექტურულ-მხატვრული პროექტის მომსახურების შესყიდვის
საკონკურსო პირობები

დ.სტეფანწმინდა
2012 წელი

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება
2. ტექნიკური დავალება
3. ხელშეკრულების პროექტი
4. რეკვიზიტები

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

საკონკურსო განცხადება

1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს დ.სტეფანწმინდის ცენტრში მდებარე ალ.ყაზბეგის ძეგლის არქიტექტურულ –მხატვრული პროექტის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს,რომელსაც გააჩნია არქიტექტურულ და საპროექტო სფეროში საქმიანობის გამოცდილება
2. კონკურსის მიზანია დ.სტეფანწმინდის ცენტრში მდებარე ალ.ყაზბეგის ძეგლის საუკეთესო არქიტექტურულ –მხატვრული პროექტის გამოვლენა .

3.საკონკურსო პრემიის (მათ შორის არქიტექტურულ–მხატვრული პროექტის შედგენის) ოდენობა შეადგენს 3000 (სამი ათასი)ლარს.(ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს შემსყიდველი)

4. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 27 თებერვლის 10 საათიდან 2012 წლის 9 მარტის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე : დ.სტეფანწმინდა,ალ.ყაზბეგის ქუჩა № 1, ადმინისტრაციული შენობის 1 სართული,საკონკურსო კომისიის აპარატში.

საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოდგენილი უნდა იყოს 2 ეგზემპლარად(დედანი და ასლი)

5.კონკურსში მონაწილეობის საფასური

5.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=39

5.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

5.3 საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურისგადახდისდამადასტურებელიდოკუმენტისშემთხვევაში,პირის საკონკურსოწინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

6. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

7. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. შენიშვნა: დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

8. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2012 წლის 9 მარტს 12 00 საათზე.

9. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

10. საკონკურსო პრემიის გადაცემა გამარჯვებულ კონკურსანტზე განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ კონკურსანტს შორის ხელშეკრულების გაფორმებისა და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

13. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

– საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს ჩათვლით), წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში; შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ კონკურსანტი არ არის დ.ღგ–ს გადამხდელი, საქ. კანონმდებლობის შესაბამისად მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დ.ღგ.–ს გარეშე.

– არქიტექტურულ–მხატვრული პროექტი, განმარტებითი ბარათით

– რეკვიზიტები;

ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

16. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- არქიტექტურულ–მხატვრული პროექტი: კოეფიციენტი – 0.6
- ძეგლის მოსაპირკეთებლად გამოყენებული მასალა – 0.2
- ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის მოსაპირკეთებლად გამოყენებული მასალა – 0.2

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით:

- კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

17. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

18. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონტაქტო ტელეფონზე: 595 90 25 75

ტექნიკური დავალება

დ. სტეფანწმინდის ცენტრში მდებარე ალ. ყაზბეგის ძეგლის არქიტექტურულ – მხატვრული პროექტი უნდა შეიცავდეს:

ა) დეტალური გეგმა ყველა ზომის მითითებით ოთხივე მხრიდან და შესაბამისი ჭრილით მ 1:50 ან მ 1:100

ბ) საკონკურსო ობიექტის არეალის ჰორიზონტალური ანაზომის გეგმა, მ. 1:50 ან მ. 1:100.

გ) ძეგლის ფოტომონტაჟი ოთხივე მხრიდან (ფოტომონტაჟის გასაკეთებლად საკონკურსო პირობებს თან ახლავს სურათები)

დ) განმარტებითი ბარათი, განსახორციელებელი სამუშაოები, გამოყენებული მასალებისა და პროექტის განსახორციელებლად საჭირო ყველა დეტალის ზუსტი მითითებით

ე) პროექტის განსახორციელებლად საჭირო ყველა სამუშაოს სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა არ უნდა აღემატებოდეს 80 000 ლარს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ყველა საჭირო გადასახადების ჩათვლით.

ვ.) ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის მოსაპირკეთებლად სასურველია გამოყენებული იქნას ადგილობრივი მასალები. მასალა უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის.

ძეგლის მიმდებარე ტერიტორიის მთლიანი ფართობი 263 კვ.მდეა.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი პროექტი გასაგები უნდა იყოს თითოეული ადამიანისათვის, რათა შემდგომში შესაძლებელი იყოს მისი ზუსტი განხორციელება.

შენიშვნა: წარმოდგენილ არქიტექტურულ-მხატვრულ პროექტს თან უნდა ერთვის ელექტრონული ვერსია

გამარჯვებული პროექტის გარდა კონკურსზე წარმოდგენილი ყველა პროექტი კონკურსში მონაწილე(ებ)ს დაუბრუნდება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი ს პ რ ო ე კ ტ ი

დ. სტეფანწმინდა

— 2012 წელი

ერთის მხრივ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის გოჩა მაღანია სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი _____ სახით, კონკურსის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

დ. სტეფანწმინდის ცენტრში მდებარე ალ. ყაზბეგის ძეგლის არქიტექტურულ – მხატვრული პროექტის შესყიდვა.)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს — ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს -----

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია: **დ. სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის ქ.#1.**

5.2 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2012 წლის

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს -----

7.2 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5 მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვას შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონულ საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის --- — და მოქმედებს 2012 წლის — ჩათვლით.

შემსყიდველი:

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

/გოჩა მალანია/

მიმწოდებელი:

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/ ფაქტიური მისამართი;

საიდენტიფიკაციო კოდი;

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;

ელექტრონული მისამართი

მომსახურე ბანკი— ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში;

~

ხელმოწერა-----

ბ.ა.

თუ კონკურსანტი ფიზიკური პირია უნდა მიუთითოს პირადობის მოწმობის პირადი ნომერი ,ან პასპორტის მიხედვით პირადი ნომერი.







